მედვინეთუხუცესს (კუხალევს) თემურაზ რაფიელის ძეს — ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ორერას“ მუსიკალურ ხელმძღვანელს.

ნადიბაიძეს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

რაბინოვიჩს ლევ კუშელის ძეს — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.

ჭირაქაძეს ნინო არჩილის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

აჯინჯალს შალოდი მიხეილის ძეს — გამომცემლობა „ალაშარას“ დირექტორს.

ლუხუტაშვილს ნიკოლოზ ვასილის ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლის წამყვან რეჟისორს.

პაპავაძეს დავით გრიგოლის ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენის ყოფილ მთავარ მემანქანეს.

სანადირაძეს ელგუჯა გრიგოლის ძეს — საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანს.

ფხაკაძეს ოთარ იაკობის ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლის წამყვან რეჟისორს.

ჭრელაშვილს ნატალია ალფეზის ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საგარდერობოს გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 17 თებერვალი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**44** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეებისა და მოსამსახურეებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 65 წლის-თავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი“

ლოვჯანს ვლადიმერ იოსების ძეს — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის წამყვან ქირურგს.

ზაიკინს ალექსი ალექსის ძეს — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის წამყვან თერაპევტს.

**„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“**

კარახანოვს ლევან მოსესის ძეს—თბილისის 26 ბაქოელი კომისიის სახელობის წითელდროშოვანი, წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგეს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**

ვაშაყმაძეს ლერი სერგოს ძეს — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო-საპაერო ძალების ზურგის უფროს ინჟინერს.

**„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“**

დიაკონოვს ვსევოლოდ მტისლავის ძეს — თბილისის 26 ბაქოელი კომისიის სახელობის წითელდროშოვანი, წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის ფიზიკისა და ქიმიის კათედრის დოცენტს.

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“**

აკულიჩევს ვალენტინ ალექსანდრეს ძეს — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს ტექნიკურ საშუალებათა პრობანდის განყოფილების კინოდანადგართა უფროს ინჟინერს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი“**

რუდენკოს ნინეილ ეგნატეს ძეს — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მშენებლობის სამმართველოს სამშენებლო-სამონტაჟო უბნის უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 23 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**45** „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის“  
საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რაციონალიზატორული მოძრაობის განვითარებაში დამსახურებისათვის, წარმოებაში ბევრი მნიშვნელოვანი ეფექტის მომცემი რაციონალიზატორული





წინადადების დაერგვისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება „საქართველოს სსრ-ის დამსახურებული რაციონალიზატორი“:

**ბონდარენკოს** პავლე ვასილის ძეს — ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მემოდელეს.

**გორგოვიცის** ევიმ ფროიმის ძეს — რუსთავის საშენ მასალათა კომბინატის უფროს ინჟინერ-კონსტრუქტორა.

**გუგავას** ჯიმშერ ვასილის ძეს — ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამმართველს.

**ზუბაშვილს** ალექსანდრე გაბრიელის ძეს — საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიციის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსს.

**კაპანაძეს** ოთარ სიმონის ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ზეინკალს.

**სარიდის** გენადი ფეოფილაქტეს ძეს — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მთავარ მეხელსაწყოებს.

**სევასტოვს** ხიკოლოზ ფეოკლიტეს ძეს — თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ ტექნიკური განყოფილების უფროსს.

**ფატარიძეს** როსხენ გრიგოლის ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ოსტატს.

**შავერდაშვილს** იოსებ ხიკოლოზის ძეს — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ჰილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 28 თებერვალი

ბრძანებულია საპარტიველო სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**46** საპარტიველო სსრ მაცნეიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მუშაინიკის ინსტიტუტის საპარტიველო სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამთო მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, რესპუბლიკის სამთო მრეწველობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დასაწერგავად აქტიური საქმიანობისა და მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და საინჟინრო კადრების მომზადებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ჰილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 1 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 47 გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად შრომათი კოლექტივების დარაზნებაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკური გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშხარაშვილი.

თბილისი, 1953 წლის 1 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 48 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ალფეროვიჩი კონსტანტინე სიმონის ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების კორესპონდენტი.

ამირეჯიბი ქეთევან გიორგის ასული — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი.

ზაბაიანი სურენ აშოტის ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი.

ბაღდოევი ბოგდან დავითის ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ლინოტიპისტი.

ბერიძე ზურაბ ივანეს ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის მოადგილე.

გულიევი მიხეილ ალექსანდრის ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

გრაჩოვი სპარტაკ ნიკოლოზის ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის პროპაგანდის განყოფილების გამგე.

**ელეცკი** მოსე მიხეილის ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის დირექტორი და ჟურნალის კორესპონდენტი.

**მაკარიძე** ედუარდ არტემის ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ასოთამწყობი.

**მარტინიუკი** სვეტლანა ივანეს ასული — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის წერილებისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების კორესპონდენტი.

**მელქუმიანი** ვლადიმერ ანდრის ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ასოთამწყობი-ლინოტიპისტი.

**მჭედლიშვილი** გივი გაბრიელის ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი.

**პოლიაკოვი** იული იოსების ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის სამდივნოს ჟურნალის კორესპონდენტი.

**რატიშვილი** თეიმურაზ ვასილის ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის ილუსტრაციის განყოფილების გამგე.

**სადოჩკინა** ტატიანა სტეფანეს ასული — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის წერილებისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების კორესპონდენტი.

**სიმონიანი** ედუარდ არმენაკის ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ასოთამწყობი.

**ტაბატაძე** ალექსანდრე ალექსის ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საკუთარი კორესპონდენტი.

**ფრიდკინა** ინა ლევის ასული — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების კორესპონდენტი.

**ღვინიანიძე** შოთა ვიქტორის ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საკუთარი კორესპონდენტი.

**შელია** დავით იაკობის ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საკუთარი კორესპონდენტი.

**შიხაშვილი** გელა ვასილის ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის გამგე.

**წერეთელი** ვიტალი ბორისის ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საკუთარი კორესპონდენტი.

**ხაჩატუროვი** სერგო ოგანეზის ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მტვიფრავი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ი. ლაშქარაშვილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**49** ამხ. მ. დ. გერგედავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გალის რაიონის ცხაკიას სახელობის სიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. მიხეილ დიტოს ძე გერგედავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 1 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**50** ამხ. მ. ა. გრეგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პერსონალური პენსიების დამნიშვნელი კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ქსენია ალექსანდრეს ასული გრეგენიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 1 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**51** ამხ. ვ. ი. ეპიტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კასპის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვალერიან

ოსების ძე ეპიტაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 1 თებერვალი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**52** ამხ. თ. ჯ. ვარდნაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წერილებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების გამგე ამხ. თამარ ზაქარაიას ასული ვარდნაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 1 თებერვალი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**53** ამხ. ე. ნ. შენგელაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, კინორეჟისორი ელდარ ნიკოლოზის ძე შენგელაია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 1 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 54 ამხ. ზ. ა. წითლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მანარაძის რაიონის სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. გივი აკაკის ძე წითლიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 9 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 55 საქართველოს საომალაქო ავიაციის სამმართველოს საწარმოთა მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ავიაციაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის 60 წლისთავეთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

**აზიზიანი** კარლენ რობინზონის ძე — თბილისის ავიასაწარმოს რადიოტექნიკური მოწყობილობის ექსპლოატაციისა და კავშირგაბმულობის ბაზის კავშირგაბმულობის კვანძის უფროსი.

**გოცირიძე** ვასილ გიორგის ძე — თბილისის აეროპორტის უფროსის მოადგილე.

**ვერლანი** ანატოლი ვასილის ძე — სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ტექნიკოსი.

**კვარაცხელია** რევაზ მიხეილის ძე — სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ავიაციის ტექნიკოსი.

**კვაჩი** ვლადიმერ ალექსის ძე — ქუთაისის ავიასაწარმოს ქვეგანყოფის მეთაური.

**კვიციანიძე** გიორგი ზაქარიაძე ძე — თბილისის ავიასაწარმოს მოძრაობის სამსახურის ფრენის ხელმძღვანელი.

**ლომიძე** ელგუჯა ზაქარიაძე ძე — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს პოლიტადმზრდელი მუშაობის განყოფილების უფროსი ინსტრუქტორი.

**ოსიტაშვილი** ნიკოლოზ პავლეს ძე — თბილისის ავიასაწარმოს სპეცტროტრანსპორტის მძღოლი.

**საბოჟუკოვი** ვასილ ვასილის ძე — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს სასწავლო-საწვრთნელი რაზმის ტრენაჟორის ინსტრუქტორი.

**სტუპინი** ბორის ალექსანდრეს ძე — თბილისის ავიასაწარმოს საავიაციო-ტექნიკური ბაზის საამქროს უფროსი.

**ტაბუევი** გერას გიორგის ძე — სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის თვითმფრინავ ტუ-134-ის ხომალდის მეთაური.

**ტყეშელაშვილი** ტარას ვლადიმერის ძე — ქუთაისის ავიასაწარმოს სპეც-ავტოტრანსპორტის მძღოლი.

**შმალი** ივანე ალექსის ძე — სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ქალაქის სააგენტოს საკომერციო კავშირის ინჟინერი.

**ძიძიგური** გივი პეტრეს ძე — თბილისის ავიასაწარმოს ქვეკანაყოფის უფროსი ბორტინჟინერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 11 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**56** ამხ. ო. ა. ლითანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ქ. თბილისის მთავარი მხატვარი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ოთარ ანტონის ძე ლითანიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 11 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**57** საქართველოს სსრ მაცნეიარებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბარკენიშვილის სახელობის სამაცნეიარო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეცნიერების განვითარებასა და სამეცნიერო კადრების აღზრდაში დიდი წვლილისათვის და დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს

სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 17 თებერვალი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**58** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები:

**თანდილა** ზურაბ ოსმანის ძე — ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

**კახიძე** ამირან იუსუფის ძე — არქეოლოგიისა და ძველი ისტორიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

**კახიძე** ნოდარ აბდულის ძე — ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

**ლონტი** კონსტანტინე მიხეილის ძე — ეკონომიკური და სოციოლოგიური პრობლემების განყოფილების სოციოლოგიის საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელი.

**შამილაძე** ვახტანგ შამიას ძე — დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

**სახუტაიშვილი** დავით ახმედის ძე — ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 17 თებერვალი.





ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 59 ამხ. მ. დ. ნინოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გორის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მარლენ დავითის ძე ნინოშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 17 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 60 ამხ. ა. ი. რობაქიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსი ივანეს ძე რობაქიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 17 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 61 რუსთავის მეტალურგიული ქარხნის № 2 აგლომაციის მუშაობის განსაკუთრებით თავგამოჩენილ მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის № 2 აგლომაციის საექსპლოატაციოდ წარმატებით გადაცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ მშენებლობაზე განსაკუთრებით თავგამოჩენილი მუშაკები:

**ბაიდარაშვილი** გურამ გიორგის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 4 სამშენებლო სამმართველოს კალატოზი.

**გაგნიძე** ზაურ ლავრენტის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 8 სამშენებლო სამმართველოს მემონტაჟე.

**ველიჩკო** ევგენი ევდოკიმის ძე — „სევეკავტექმონტაჟის“ სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირი.

**თაბუკაშვილი** ჯონდო ალექსანდრეს ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მოწყობილობათა განყოფილების უფროსი.

**კირვალაძე** თენგიზ იოსების ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მამხოლოებელთა ბრიგადირი.

**კობერიძე** ნოდარ ოქროს ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს მილჩამწყობი.

**კრივერი** სიმონ პავლეს ძე — სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს „მეტალურგპროკატის“ ტრესტის ლიპეცკის პირველი სპეცსამონტაჟო სამმართველოს ოსტატი.

**კუპრავა** ლენტერი აქვსენტის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის მეთარმეტურე.

**კურტანიძე** ზურაბ ვლადიმერის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს რუსთავის ხისდამამუშავებელი კომბინატის დურგალი.

**ნადირაძე** შოთა შალვას ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

**ჟურული** ვასილ ალექსანდრეს ძე — „საქსანტექმონტაჟის“ ტრესტის „საქპრომგაწყობის“ სამმართველოს გამწყობი.

**რიყაძე** ბეჟან დიმიტრის ძე — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის „მრეწვევენტ-ილაციის“ სამმართველოს რუსთავის სამონტაჟო უბნის ბრიგადირი.

**რობაქიძე** გური ვარლამის ძე — „საქსანტექმონტაჟის“ ტრესტის „საქ-მრეწვევაწყობის“ სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

**რუჩენკო** ედუარდ ალექსანდრეს ძე — „სოიუზჰესლოროდმონტაჟის“ ტრესტის რუსთავის № 2 სამონტაჟო უბნის სამუშაოთა მწარმოებელი.

**სვილოგუშოვი** ანატოლი მიტროფანეს ძე — „მეტალურგპროკატმონტაჟის“ ტრესტის ლიპეცკის სპეცმონტაჟის სამმართველოს ბრიგადირი.

**სინინი** მიხეილ პეტრეს ძე — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის რუსთავის სპეცელექტრომონტაჟის სამმართველოს განყოფილების უფროსი.

**სისოშვილი** მიხეილ სერგის ძე — საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს რუსთავის № 3 ავტოსატრანსპორტო საწარმოს ექსპლოატაციის განყოფილების უფროსი.



**ტაბიძე** ვახტანგ ნოეს ძე — საქართველოში სოციალისტური რევოლუციის „საქსანტე“ ტაყის“ ტრესტის რუსთავის სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

**შევჩუკი** ნინელი სერგოს ასული — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ბიუროს უფროსი.

**ძევისაშვილი** სამსონ სერგის ძე — „კავკაზენერგომონტაჟის“ ტრესტის საქართველოს სამონტაჟო სამმართველოს ბრიგადირი, ზეინკალ-მილგამყვანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**.

თბილისი, 1983 წლის 23 თებერვალი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**62** ამხ. გ. ნ. ბუაჩიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, ამიერკავკასიის სარკინიგზო მშენებლობის განვითარების საქმეში დიდი წვლილისათვის ამხ. გრიგოლ ნიკოლოზის ძე ბუაჩიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**.

თბილისი, 1983 წლის 23 თებერვალი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**63** ამხ. შ. მ. ეცადაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრი — საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. შოთა მათეს ძე ეცადაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**.

თბილისი, 1983 წლის 23 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 64 ამხ. ი. ა. თორდიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ზუგდიდის რაიონის აბასთუმნის ტუნგის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ილია ალექსანდრეს ძე თორდია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 23 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 65 ამხ. ა. კ. კალანდარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმო-ტექნიკური უზრუნველყოფის ლანჩხუთის რაიონული საწარმოო გაერთიანების მმართველი ამხ. ავთანდილ კალისტრატეს ძე კალანდარიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 23 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 66 ამხ. შ. ა. ლუხუშაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ.



შალვა აკაკის ძე ლუხუტაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 23 თებერვალი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 67 ამხ. ზ. რ. სანდაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ბორჯომის საკვებმომპოვებელი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. გიორგი რუბენის ძე სანდაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 23 თებერვალი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 68 ამხ. ნ. ბ. ხოზგარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნუგზარ ბორისის ძე ხოზგარიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 23 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**69** ამხ. ე. ი. სიღამონიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის საერთო განყოფილების გამგე ამხ. ელისაბედ იოსების ასული სიღამონიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 25 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**70** გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა, აქტივისტების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ავიძბა ვალერი ბორისის ძე — აფხაზეთის ღვინის კომბინატის მთავარი ინჟინერი,

ახვლედიანი ვალენტინ კონსტანტინეს ძე — სასოფლო-სამეურნეო შანქანა-იარაღების ქარხნის ამწყობი საამქროს ზეინკალ-ამწყობი.

გეგელოვი ალექსანდრე ქრისტეფორეს ძე — ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საპატენტო ჯგუფის გამგე.

კუჭავა ლიანა პავლეს ასული — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

ღვინიაშვილი რობერტ გიორგის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის პირველი მოადგილე.

ნატროშვილი გიორგი ზაქარიას ძე — ბათუმის ხისდამამუშავებელი კომბინატის მთავარი მექანიკოსი.



ქურდაძე ალექსანდრე დავითის ძე — საქართველოს სსრ მედიცინის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსის მოადგილე — მთავარი ინჟინერი.

ყიფიანი გივი შალვას ძე — „თბილგვირაბშენის“ № 13 რაზმის უფროსი ჩანგველაძე შუქური იულონის ძე — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის უფროსი ინჟინერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 28 თებერვალი.

### ბანუოფილება მესამე

#### საპარტიზელოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1983 წლის 24 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. პრეზიდიუმმა სახელმძღვანელოდ და განუხრელი შესრულებისათვის მიიღო „სსრ კავშირის სახლთა მეგობრობის და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალოთ უფრო სრულად გამოიყენონ მათს განკარგულებაში არსებული საშუალებანი და შესაძლებლობანი ყველა ერისა და ეროვნების თანამშრომლობის ყოველმხრივ განვითარებისათვის, მათი მონოლითობის, მეგობრობისა და ძმობის განსამტკიცებლად, თითოეული რეგიონის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მშრომელთა ეროვნული ჯგუფების თავისებურებათა და ინტერესების გათვალისწინებით;

აქტიურად შეუწყონ ხელი რესპუბლიკათაშორისი ეკონომიკური კავშირისა და კულტურული გაცვლის განვითარებას, მშრომელთა ურთიერთეროვნული კავშირისა და ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების შრომითი კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების გაფართოებას XI ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად;

ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა გეორგიევსკის ტატიის 200 წლისთავის აღსანიშნავად; შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ახალგაზრდობისა და მშრომელთა სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის, ყველა ერისა და ეროვნების ურთიერთპატივისცემისა და მეგობრობის სულისკვეთებით აღსაზრდელად;

დღენიანადგ სრულყოფნა მუდმივ კომისიებში, დეპუტატთა ჯგუფებსა და საარჩევნო ოლქებში დეპუტატთა საქმიანობა, გააფართოონ და განამტკიცონ მათი კავშირი მოსახლეობასთან, საზოგადოებრივი თვითმკმედების ორგანოებთან, მიადწიონ იმას, რომ თითოეული დეპუტატი იყოს ადგილზე ღენინური ეროვნული პოლიტიკის აქტიური გამტარებელი;

მთელი მუშაობა წარმართონ იმ მითითებებისა და დასკვნების შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზემო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ა. მ. ვ. ანდროპოვის მოხსენებაში.

სათანადო რეკომენდაციები და დავალებები მიეცათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს.

\*

\* \*

პრეზიდიუმმა, მოისმინა რა თეთრი წყაროსა და ხობის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების ა. მ. ა. მ. მ. დალაქიშვილისა და ლ. ბუკიას ინფორმაციები მიწათსარგებლობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად ამ რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე, აღნიშნა, რომ თუმცა საბჭოები გარკვეულ მუშაობას ახორციელებენ ამ მიმართულებით, მათი საქმიანობა მიწათსარგებლობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება. აღნიშნულ რაიონებში ჯერ კიდევ არის საზოგადოებრივი მიწების მითვისების, კომლების ფიქტიურად გამოყოფის და მიწის კანონმდებლობის სხვა მოთხოვნათა უხეში დამახინჯების შემთხვევები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თეთრი წყაროსა და ხობის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასკომების მუშაობა მიწათსარგებლობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად ჩათვალა არასაკმარისად და დაავალა მათ:

უზრუნველყოფნა სახელმწიფო კონტროლის განხორციელება სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა მიერ მიწათსარგებლობის წესების დაცვისადმი; მიწის



კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის თითოეული შემთხვევა მსჯელობის საგანი; მიიღონ ზომები იმ მიწათმოსარგებლეთა მიმართ, რომლებიც უყაირათოდ და არაეფექტიანად იყენებენ მიწებს; უმოკლეს დროში უზრუნველყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზონარგაყრილი წიგნების მოწესრიგება; მიიღონ ზომები მიწათსარგებლობის წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში დეპუტატების, საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიების, აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების, მიწათმოწყობის სამსახურის როლისა და აქტივობის ამაღლებისათვის; მკაცრად მოსთხოვონ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს მიწათსარგებლობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელად დაცვა.

სათანადო დავალებანი მიეცათ საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს და უწყებებს.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე საკითხები საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1982 წლის შედეგების შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციების შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე, საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის სახელზე შემოსული მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შედეგების შესახებ და სხვ.

